

## ტალახის ვულკანიზმის შესახებ

ირაკლი ჯავახიშვილი

ელ-ფოსტა: [irakli.javakhishvili@tsu.ge](mailto:irakli.javakhishvili@tsu.ge)

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტი და  
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
უნივერსიტეტის ქ. 2

ტალახის ვულკანიზმის შესწავლა გეოლოგიური დარგის ერთერთი მთავარი მიმართულებაა. ტალახის ვულკანები კი – დედამიწის ქერქის შესახებ საკმაოდ საინტერესო ინფორმაციის მატარებელი ბუნებრივი მოვლენაა. ტალახის ვულკანების შესწავლა გვაძლევს საშუალებას გავიგოთ დედამიწის ზედა ფენის აგებულების შესახებ და გეოქიმიურ პროცესებზე, რაც აუცილებელია დედამიწის ქერქის სიღრმეების შესწავლასა და ნავთობგაზიანობის განსაზღვრისათვის. ტალახის ვულკანებს, შეზღუდული გავრცელება ახასიათებს და იგი გავრცელებულია დაახლოებით 30 ქვეყნის ტერიტორიაზე. ამ ქვეყნებიდან ყველაზე საინტერესოა აზერბაიჯანი – დედამიწაზე რეგისტრირებული 800 ტალახის ვულკანიდან, 400-ზე მეტი მდებარეობს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. აზერბაიჯანში შეინიშნება ტალახის ვულკანების გამოვლინების ყველა შესაძლო ფორმა (მოქმედი, ჩამქრალი, ნამარხი, წყალქვეშა, ქუნძულის და ნავთობიანი). საქართველოშიც არსებობს ტალახის ვულკანები. ყველა ეს ვულკანი აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს: კახეთის ქედის ჩრდილო და სამხრეთი ფერდობების აღმოსავლეთ ჩაძირვის ზონაში და სამხრეთ კახეთში. ერთი ვულკანი კი მდებარეობს შიდა ქართლში. სულ საქართველოში ცნობილია 15 ტალახის ვულკანი: კავთისხევი, ბაკანა, თბილისხევი, ახტალა, ლაკბე, ფხოველი, დასავლეთი ქილა-კუპრა, ცენტრალური ქილა-კუპრა, აღმოსავლეთი ქილა-კუპრა, ნავთის ჭები, ბაიდა, ალაჯიდი, პოლპოი-თეფე, ჩრდილო ტულკი-თეფე და სამხრეთი ტულკი-თეფე. საქართველოს ტალახის ვულკანები ასაკობრივ და გენეტურ კავშირშია აზერბაიჯანის ტალახის ვულკანებთან. მათი შესწავლა არანაკლებად საინტერესო ინფორმაციას გვაძლევს დედამიწის შეგნეთში მიმდინარე პროცესებზე. თემაში განხილულია მსოფლიოს და განსაკუთრებით აზერბაიჯანისა და საქართველოს ტალახის ვულკანები. მათი წარმოშობის საკითხი, მორფოლოგია, მახისიათებლები და გეოქიმია.

### ლიტერატურა

- [1] Алиев Ад.А., Гаджикасумов А.С., Кабулова А.Я., Симхаев В.З. (1981). Геохимическая характеристика газов грязевых вулканов междуречья Куры и Иори // Изв. ВУЗов. Нефть и газ, №5 с.7-9
- [2] Алиев Ад.А., Гулиев И.С., Дадашев Ф.Г., Рахманов Р.Р. (2015). Атлас грязевых вулканов мира. ISBN 978-9952-437-53-9. Издательство "Nafta-Press"
- [3] Вахания Д.Е., Мгеладзе З.В. (2006). Нефтегазоносность осадочного чехла Грузинской глыбы Закавказской межгорной области //Геол. Нефти и газа, №4 с.14-21
- [4] Дзвеляя М.Ф., Алиев Ад. А. (1969). О некоторых особенностях вод грязевых вулканов Грузии // Сообщ. АН. Грузии. Т. 54, №1 с.121-123
- [5] Дзвеляя М.Ф (1972) Грязевые вулканы Грузии и их связь с нефтеносностью. Тбилиси. Мецниереба. С. 73-78